ი.მ. "ომარ ბენიაიძე"

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისი. კრწანისის რაიონი.
გორგასლის ქ. №39-ში მდებარე
სახლის მიმდებარე შენობის
კონსტრუქციული მდგომარეობის შესახებ.

დირექტორი  ო. ბენიაიძე

თბილისი – 2014წ.

კონსტრუქციული დასკვნა :

ქ. თბილისი. კრწანისის რაიონი.

გორგასლის ქუჩა №39-ში მდებარე "შ.პ.ს. ქ. თბილისის №12 შერეული პოლიკლინიკის" კუთვნილი სახლის მიმდებარე შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის შესახებ.

"შ.პ.ს. ქ. თბილისის №12 შერეული პოლიკლინიკის" წარმომადგენლისაგან შემოვიდა მოთხოვნა გაგვერკვია : ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №39 – ში მათ საკუთრებაში არსებული სახლის დემონტაჟის ზეგავლენა მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე (განზრახულია არსებული სახლის დემონტაჟი.)

დაისახა კვლევის მიზანი:

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში. გორგასლის ქუჩა №39-ში მდებარე, სახლის დემონტაჟის შემთხვევაში, მიმდებარე შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის შესწავლა .

საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ 1992 წელს გამოცემული – "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქციის" თანახმად განისაზღვრა სამუშაოს მეთოდიკა და ამოცანები:

1. შენობის საპროექტო დოკუმენტაციის მოძიება და ანალიზი;
2. შენობის მზიდი კონსტრუქციის შესწავლა ;
3. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა;
4. კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნა.

I. შენობის საპროექტო დოკუმენტაციის მოძიება, გაცნობა და ანალიზი

მოხდა ადგილზე გასვლა და შენობების ვიზუალური დათვალიერება ;

II. შენობის მზიდი ელემენტების შესწავლა

შენობა აგებულია ძველი საუკუნის 40 –იან წლებში, ის ერთსართულიანია მზიდი ელემენტები არის ძველი ყორის ქვითა და აგურის წყობით ნაგები კედლები. სარეკონსტრუქციო შენობას ესაზღვრება ავტონომიურ საძირკველზე მოწყობილი სახლი.

III. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა

ვიზუალურ - ტექნიკური გამოკვლევებით დავაზუსტეთ, რომ გამოსაკვლევი მომიჯნავე შენობა მარტივი, მართკუთხა გეომეტრიული ფორმისაა. შენობა ერთსართულიანია, აგებულია გასული საუკუნის 40-იან წლებში. განაშენიანების რელიეფი დამრეცია. შენობის ძირითად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს ლენტურ საძირკველზე მოწყობილი ყორის ქვითა და აგურის მზიდი კედლები. ორივე შენობა დაფუძნებულია კლდოვან გრუნტზე.

IV. კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნა.

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში. გორგასლის ქუჩა №39-ში მდებარე, ერთბინიანი სარეკონსტრუქციო სახლის მიმდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შესწავლილი შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტები ავტონომიურადაა მოწყობილი .

ორგანიზაციის საინჟინრო – გეოლოგიური ჯგუფის მიერ შედგენილია დასკვნა, რომლის თანახმად სარეკონსტრუქციო და მიმდებარე შენობა დაფუძნებულია ვულკანოგენური წარმოშობის კლდოვან გრუნტზე, რომლის სიმტკიცის მაჩვენებელი, ფუნდამენტის ქვაბულის ვერტიკალური კედლის ჩამოჭრის შემთხვევაშიც კი მნიშვნელოვნად აღემატება არსებულ დატვირთვას.

პროექტით გათვალისწინებულია გორგასლის ქუჩა №39-ში მდებარე სახლის დემონტაჟი, რაც მომიჯნავე შენობის შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციისაა და უსაფრთხოების თვალსაზრისით არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

დირექტორი : ო. ბენიაიძე

2.10.14. წ.